GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 309
თარიღი: 28 11 2016 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. აწვდის თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, სისხლის სამართლის სტატისტიკას ყოველთვიურად (რისი ვალდებულებაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2010 წელს გაფორმებული მემორანდუმის თანახმად იკისრა)? უარყოფითი პასუხის შემთხვევში, გთხოვთ განგვიმარტოთ მიზეზები, რატომაც არ ხდება სტატისტიკის მოწოდება და ასევე დაგვიზუსტოთ როდიდან აღარ ხდება აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება?
2. პირველ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიზუსტოთ, რატომ არ ხდება ამ ინფორმაციის სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიან ანგარიშში ასახვა?
3. საკმარისია თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კვარტალურად მოწოდებული ინფორმაცია ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის შესაფასებლად?
4. შეიცვალა თუ არა (წერილობით ან ზეპირად), 2010 წელს დადებული მემორანდუმის პირობები, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის სტატისტიკის ყოველთვიური მიწოდების ვალდებულება იკისრა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიზუსტოთ ცვლილებები და მისი წერილობითი ვარიანტის არსებობის შემთხვევაში, მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტი.

პატივისცემით,

დიმიტრი ავალიანი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი,

GRASS ააიპ საქართველოს რეფორმების ასოციაცია NNLE Georgia's Reforms Associates 406077579

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის #27

საკონტაქტო პირი:
თამარ ქეცბაია

ტელ: 599277211
E-mail: tkets11@freeuni.edu.ge